

შპს „ინტერ ლოჯისტიკს“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	2
სრული შემოსავლების ანგარიში	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიში	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	6

შპს „ინტერ ლოჯისტიკს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ქართულ ლარში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	3	37,537	42,135	31,056
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	755,669	657,306	464,989
გაცემული სესხები		38,014	38,014	-
მარაგები		157	89	89
ძირითადი საშუალებები	9	460,059	460,632	460,662
სულ აქტივები		1,291,436	1,198,176	956,796
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	257,379	269,258	234,367
სულ მიმდინარე ვალდებულებები		257,379	269,258	234,367
კაპიტალი		1,000	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		1,033,057	927,918	721,429
სულ კაპიტალი		1,034,057	928,918	722,429
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,291,436	1,198,176	956,796

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამარ ხუციშვილი

ზორენა შუკაკიძე

შპს „ინტერლოჯისტიკა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის


ქართულში

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული და ფულის ექვივალენტები	3	37,537	42,135	31,056
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	755,669	657,306	464,989
გაცემული სესხები		38,014	38,014	-
მარაგები		157	89	89
ძირითადი საშუალებები	9	460,059	460,632	460,662
სულ აქტივები		1,291,436	1,198,176	956,796
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5	257,379	269,258	234,367
სულ მიმდინარე ვალდებულებები		257,379	269,258	234,367
კაპიტალი		1,000	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება		1,033,057	927,918	721,429
სულ კაპიტალი		1,034,057	928,918	722,429
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1,291,436	1,198,176	956,796

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერა მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი

თამარ ხუციშვილი



მთავარი ბუღალტერი

შორენა შუკაკიძე



შპს „ინტერ ლოჯისტიკს“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით
ქართულ ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	4,320,154	3,707,517
თვითღირებულება	8	(3,869,368)	(3,215,620)
საერთო მოგება		450,786	491,897
დასაქმებულთა ანაზღაურება		(225,483)	(212,409)
იჯარის ხარჯი		(6,020)	(6,020)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	9	(573)	(1,343)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(92,575)	(50,779)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები		(324,651)	(270,551)
საოპერაციო მოგება		126,135	221,346
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი-ხარჯი		(20,996)	(16170)
მოგება დაბეგვრამდე		105,139	205,176
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		105,139	205,176
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		105,139	205,176

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი

თამარ ხუციშვილი

მთავარი ბუღალტერი

შორენა შუკაკიძე

შპს „ინტერლუგისტიკა“

მოგება-ზარალს და სხვა სრულ შემოსავლს ანგარიშდება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	7	4,320,154	3,707,517
თვითღირებულება	8	(3,869,368)	(3,215,620)
საერთო მოგება		450,786	491,897
დასაქმებულთა ანაზღაურება		(225,483)	(212,409)
იჯარის ხარჯი		(6,020)	(6,020)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	9	(573)	(1,343)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(92,575)	(50,779)
სულ ადმინისტრაციული ხარჯები		(324,651)	(270,551)
საოპერაციო მოგება		126,135	221,346
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი-ხარჯი		(20,996)	(16,170)
მოგება დაბეგვრამდე		105,139	205,176
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		105,139	205,176
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		105,139	205,176

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერა მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:


დირექტორი

თამარ ხუციშვილი



მთავარი ბუღალტერი

შორენა შუკაკიძე



შპს „ინტერ ლოჯისტიკს“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულ ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	1,000	721,429	722,429
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	206,489	206,489
დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2023	1,000	927,918	928,918
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	105,139	105,139
დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2024	1,000	1,033,057	1,034,057

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თამარ ხუციშვილი

შორენა შუკაკიძე

შპს „ინტერლუგისტიკა“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით


ქართულში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	1,000	721,429	722,429
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	206,489	206,489
დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2023	1,000	927,918	928,918
მიმდინარე პერიოდის მოგება ზარალი	-	105,139	105,139
დივიდენდი	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
31 დეკემბერი 2024	1,000	1,033,057	1,034,057

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:


დირექტორი

თამარ ხუციშვილი



მთავარი ბუღალტერი

შორენა შუკაკიძე



შპს „ინტერ ლოჯისტიკა“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულ ლარში

	განმარტ. შენ.	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება/ზარალი დაბეგვრამდე:		105,139	205,176
ცვეთა და ამორტიზაცია	9	573	1,343
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(68)	-
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4	(98,363)	(192,317)
ცვლილება გაცემულ სესხებში			(38,014)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	5	(11879)	34,891
სულ საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი სახსრები		(4,598)	11,079
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
მიღებული სესხები		-	-
სულ ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		-	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	-
სულ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები		-	-
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით		42,135	31,056
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში		(4,598)	11,079
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით		37,537	42,135

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერილია მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი
თამარ ხუციშვილი

მთავარი ბუღალტერი
შორენა შუკაკიძე

შპს „ინტერლუჯისტიკა“


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

ქართულში


	განმარტ შენ.	2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან		105,139	205,176
წლის მოგება/ზარალი დაბეგვრამდე:		573	1,343
ცვეთა და ამორტიზაცია	9	(68)	-
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		(98,363)	(192,317)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	4		(38,014)
ცვლილება გაცემულ სესხებში		(11879)	34,891
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	5		
სულ საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული		(4,598)	11,079
ფულადი სახსრები			
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი			
სახსრები		-	-
მიღებული სესხები		-	-
სულ ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული		-	-
ფულადი სახსრები			
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული			
ფულადი სახსრები		-	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	-
სულ საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული		-	-
ფულადი სახსრები			
ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის		42,135	31,056
მდგომარეობით		(4,598)	11,079
წმინდა ზრდა/(კლება) წლის განმავლობაში			
ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის		37,537	42,135
მდგომარეობით			

ფინანსური ანგარიშგება, ხელმოწერა მენეჯმენტის მიერ და დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი
თამარ ხუციშვილი



მთავარი ბუღალტერი
შორენა შუკაკიძე



შპს „ინტერ ლოჯისტიკა“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქართულ ლარში

1. ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის საფირმო სახელწოდება: **შპს ინტერ ლოჯისტიკა**

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო ნომერი: **404921091**

რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: **07/12/2011**

მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, იოსებძის ქ., N49

პარტნიორების შესახებ ინფორმაცია 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით:

ირაკლი თევდორაშვილი, 01024018461, წილი 75%;

ზაზა ბუაძე, 01001016801 წილი -25%.

პარტნიორების შესახებ ინფორმაცია 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით:

თამარ ხუციშვილი, 01024037100, წილი-5%

ირაკლი თევდორაშვილი, 01024018461, წილი-71%

ზაზა ბუაძე, 01001016801 წილი-24%.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს-ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. აღნიშნული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პირველად მომზადდა „მსს ფასს“-ის სტანდარტების შესაბამისად.

ანგარიშგების მომზადების მიზანია შესაბამისობა რეგულატორულ მოთხოვნებთან.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-

ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია მსს ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. ორგანიზაცია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინფორმაციის კლასიფიცირება ხდება მიმდინარე და გრძელვადიანობის საფუძველზე

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

(გ) საოპერაციო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის საოპერაციო ვალუტაა ლარი, რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია ათასებამდე.

(დ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონირებად საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციები ჩაიწერება ეროვნულ ვალუტაში, ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაყვანა ანგარიშის პერიოდისთვის ხდება ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, წლის ბოლოსთვის არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	1 იანვარი 2024
1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
1 ევრო	2.9306	2.9753

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები, რომელიც მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში, ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მატარებელია. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. კომპანია დეტალურად აანალიზებს სავაჭრო მოთხოვნებს, და მენეჯმენტის უშუალო ჩართულობით, ერთიანი შემუშავებული ფორმით ახდენს ფინანსური რეზერვის სამართლიანი ოდენობის განსაზღვრას.

ასევე ფასდება, ხომ არ არის დავალიანების რაიმე ნაწილი, რომელსაც კლიენტი არ ეთანხმება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული ნაწილი დარეზერვდება ასევე 100% -ით, ხოლო დარჩენილი თანხა შეფასდება ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

თუ არსებობს კომპანიის მენეჯმენტის არგუმენტირებული რწმენა, რომ დავალიანება აუცილებლად სრულად დაიფარება, მაშინ ასეთ კონკრეტულ კლიენტზე რეზერვი აღარ შეიქმნება. ასევე, მენეჯმენტის რწმუნებითა და არგუმენტირებით, შესაძლებელია კონკრეტულ დებიტორულ დავალიანებაზე რეზერვის ინდივიდუალური წესით განსაზღვრა.

სესხები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება, როდესაც კომპანია გასცემს თანხას კლიენტზე არაკოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. გაცემული სესხები და მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აქტივები აღირიცხება შემდეგნაირად: მათ თავდაპირველ თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ღირებულება. ძირითადი საშუალებების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

ძირითადი საშუალებების შეკეთება, მოხდენისთანავე, აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში. ის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოსათვლელად კომპანია იყენებს წრფივ მეთოდს, რათა მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მოხდეს მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ძირითადი საშუალებები იყოფა 8 სხვადასხვა ჯგუფად და თითოეულ ჯგუფზე განსაზღვრულია ცვეთისათვის წლების რაოდენობა:

საოფისე ავეჯი	7-10 წელი
კომპ. ტექნიკა	5-7 წელი
მანქანა-დანადგარები	10-20 წელი
ტრანსპორტი	5-10 წელი
შენობა-ნაგებობები	35-50 წელი
არამატერიალური აქტივი	10 წელი
საოფისე ტექნიკა	5-7 წელი
სხვა ინვენტარი	3-7 წელი

ნარჩენი ღირებულება ის სავარაუდო ღირებულებაა, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდის გადახედვა ხდება ყოველწლიურად და საჭიროების შემთხვევაში იცვლება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ხდება განსაზღვრა, მოიცავს თუ არა ეს უკანასკნელი იჯარას. ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას, თუ შეთანხმების შესრულება სპეციფიკური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზეა დაფუძნებული, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით მიმდინარე პერიოდის შემოსავლად და აღირიცხება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო ხარჯად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული, ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

კომპანია, როგორც მოიჯარე - საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავლის აღიარება

(ა) შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

(ბ) საპროცენტო შემოსავლები საბანკო დეპოზიტებიდან საბანკო დეპოზიტებიდან გამომდინარეებული საპროცენტო შემოსავლების გაანგარიშება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით

და აღიარდება საკასო მეთოდით საბანკო ანგარიშზე შესაბამისი თანხის მიღების მომენტისათვის საოპერაციო ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

გადასახადები

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, მოგების გადასახადი წარმოიშვება არა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გამომუშავებულ მოგებაზე, არამედ მოგებაზე რომლის განაწილებაც მოხდება დივიდენდებზე. დივიდენდის განაწილებისას გადასახადელი მოგების გადასახადის ოდენობა განისაზღვრება განაწილებული მოცულობის 15/85-ით. დივიდენდებზე გადასახადელი გადასახადის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება საბოლოოდ დივიდენდების გაცემა. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათი შეძენისა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირების და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისთვის.

მარაგების აღრიცხვა ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით, უწყვეტი აღრიცხვის გზით. თუ მოხდა მარაგების გაუფასურება, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

ავანსები

ავანსები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარი გადახდა უკავშირდება

აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მომავალში ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე. იმ შემთხვევაში როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება, მაგრამ თუ არსებობს რაიმე

ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების ან ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც თანახა წინასწარ იქნა გადახდილი, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარი გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აკლდება გაუნაწილებელი მოგების ანგარიშს იმ პერიოდში, რომელშიც ისინი ცხადდება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი, აისახება საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

3. ფული და ფულადი სახსრები

ფული და ფულადი სახსრების საბალანსო ღირებულების ცვლილება:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	302	11	1
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	37,235	42,124	31,055
სულ	37,537	42,135	31,056

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	677,756	602,757	348,910
გადახდილი ავანსები	77,913	54,549	116,079
სულ	755,669	657,306	464,989

5. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები ლარში	228,103	266,187	231,296
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	29,276	3,071	3,071
სულ	257,379	269,258	234,367

სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს კონტრაქტორი კომპანიებისთვის გადასახდელ თანხებს

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წ	2023 წ
ტვირთის დაზღვევის ხარჯები	28,033	5,798
მარკეტინგული ხარჯი	21,411	8,376
იურიდიული მომსახურება	10,995	11,470
ტრენინგის ხარჯები	5,265	2,208
ბანკის საკომისიო	5,198	320
რეკლამის ხარჯი	3,590	10,783
კომუნიკაციის ხარჯი	1,077	1,071
საკანცელარიო ხარჯი	790	949
მივლინების ხარჯი	-	1,243
კომპიუტერის ხარჯი	-	480
სხვა ხარჯი	16,216	8,081
სულ	92,575	50,779

7. შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს ამონაგებს სატრანსპორტო მომსახურებიდან 4,320,154 ლარის ოდენობით (2023: 3,707,517 ლარი)

8. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს სატრანსპორტო მომსახურებისთვის გადახდილ თანხებს 3,869,368 ლარის ოდენობით (2023: 3,215,620)

9. ძირითადი საშაულებები

საბალანსო ღირებულება	მიწის ნაკვეთი	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
1 იანვარი 2023	456,000.00	8,403.00	340.00	464,743.00
მატება	-	1,313.00	-	1,313.00
კლება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	456,000.00	9,716.00	340.00	466,056.00
მატება	-	-	-	-
კლება	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	456,000.00	9,716.00	340.00	466,056.00
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება				
1 იანვარი 2023	-	(3,741.00)	(340.00)	(4,081.00)
ცვეთის ხარჯი	-	(1,343.00)	-	(1,343.00)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	-	(5,084.00)	(340.00)	(5,424.00)
ცვეთის ხარჯი	-	(573.00)	-	(573.00)
გასვლა/ჩამოწერა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	-	(5,657.00)	(340.00)	(5,997.00)
1 იანვარი 2023	456,000.00	4,662.00	-	460,662.00
31 დეკემბერი 2023	456,000.00	4,632.00	-	460,632.00
31 დეკემბერი 2024	456,000.00	4,059.00	-	460,059.00

10. ფინანსური რისკები

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ყოველთვიური რეპორტების მიმოხილვის საფუძველზე ადგენს დანერგილი პროცესების ეფექტურობასა და იმ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურობას შესაბამისობას რომელსაც დანერგილი პროცესები არეგულირებს.

რისკის მართვის ფუნქცია კომპანიის შიგნით ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან დაკავშირებით.

საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციაა შიდა პოლიტიკების და პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რათა საოპერაციო და იურიდიული რისკები მინიმუმამდე დავიდეს.

სხვა საქმიანობებთან ერთად კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილ რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის პირველადი მიზნებიარის რისკების ლიმიტების დადგენა, და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკების საფრთხე ამ ლიმიტის ფარგლებში დარჩეს.

ფინანსური რისკი მოიცავს:

- საკრედიტო რისკს;
- საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ფასთა რისკის ჩათვლით), და
- ლიკვიდურობის რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და საიჯარო, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. წილობრივ ინსტრუმენტებში, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	677,756	602,757	348,910
გაცემული სესხები	38,014	38,014	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	37,537	42,135	31,056
სულ ფინანსური აქტივები	753,307	682,906	379,966
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	257,379	269,258	234,367
სულ ფინანსური ვალდებულებები	257,379	269,258	234,367

კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ჯფუფის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აბალანსებს მთლიანი კაპიტალის სტრუქტურას დივიდენდების გაცემით, აღებული სესხის თანხით კაპიტალის ზრდით და არსებული სესხების დაფარვით.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის

საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან, საკონტრაქტო აქტივებიდან, გაცემული სესხებიდან, ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა).

კომპანიის საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძველიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს: მომხმარებელი სახელმწიფო ორგანოა თუ კერძო იურიდიული, მომხმარებლების გეოგრაფიულ განაწილებას და წარსულში ფინანსური სიძნელების არსებობას. მაღალ რისკიანი მომხმარებლები გაერთიანებულია შეზღუდულ მომხმარებელთა კომპანიაში და მათზე რეალიზაცია ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების საფუძველზე. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობას.

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	755,669	657,306	464,989
ფული და ფულის ეკვივალენტები	37,537	42,135	31,056
სულ	793,206	699,441	496,045

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან სახსრები განთავსებულია კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში.

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი გულისხმობს, კომპანიის ვალდებულებების გადახდისუნარიანობას. კომპანიის ფრთხილად მართავს ლიკვიდურობას, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ეკვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალი ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა კომპანიის დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება. შემდეგი ცხრილები შედგენილი იქნა

ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები დოლარში:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	240	11	1
სულ ფინანსური აქტივები	240	11	1
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,071	3,071	3,071
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,071	3,071	3,071

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ევროში:

	31.12.2024	31.12.2023	01.01.2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	62	-	-
სულ ფინანსური აქტივები	62		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26,205	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	26,205	-	-

11. მსს ფასს-ზე გადასვლა

2024 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის სტანდარტების შესაბამისად. კომპანია მსს ფასს-ის დანერგვაზე გადავიდა 2023 წლის 1 იანვრიდან. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მსს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის შედეგად მატერიალური კორექტირებები არ განხორციელებულა

12. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24-ით

„მენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ოპერაციების მნიშვნელოვანი ნაწილი განხორციელებულია დაკავშირებულ მხარეებთან;

ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანმა ხელმძღვანელობამ 2024 და 2023 წლების განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

	2024	2023
ხელმძღვანელობის ხელფასები და ბონუსები	47,500	60,621

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

შპს “ინტერ ლოჯისტიკს

ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ინტერლოჯისტიკს-ი (ს/კ 404921091) (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია 2011 წლის 7 დეკემბერს.

შპს „ინტერლოჯისტიკს-ის“ მეწილეების სტრუქტურა:

კომპანიის მეწილეები	31 დეკემბერი 2024 (%)	31 დეკემბერი 2023 (%)
ირაკლი თევდორაშვილი	71%	71%
ზაზა ბუაძე	24%	24%
თამარ ხუციშვილი	5%	5%

კომპანიის დირექტორი საანგარიშგებო პერიოდში, მმართველობითი ანგარიშგების გამოცემამდე იყო თამარ ხუციშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო ლოჯისტიკური ოპერაციები-საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო გადაზიდვები, საბროკერო, სატერმინალო და საბაჟო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება, რასაც ახორციელებს ძირითადად, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებზე და ფიზიკურ პირებზე.

2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი კოეფიციენტები:

	2024	2023
სულ შემოსავალი	4,320,154	3,707,517
სულ აქტივები	1,291,436	1,198,176
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	8	10
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი*	3.23	2.74
დებიტორების ბრუნვა	0.17	0.16

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ინტერლოჯისტიკს-ის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 10-დან 8-მდე. კომპანიაში საერთო დასაქმებულების საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენდა 9-ს. კომპანიას აქვს კარგად განსაზღვრული დასაქმების პოლიტიკა და არჩევს მხოლოდ შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატებს.

როგორც დამქირავებელი, პერსონალს სთავაზობს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს ეძლევათ კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობა, საქმიანი სამუშაო გარემო და კონკურენტუნარიანი ხელფასი.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

შპს ინტერ ლოჯისტიკს-ი გეგმავს საერთაშორისო გადაზიდვების მიმართულების უფრო მეტად განვითარებას - საერთაშორისო სარკინიგზო გადაზიდვების დამატებას და საექსპორტო ბაზარზე გასვლას.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლოჯისტიკური მომსახურების მიმართულებით ძლიერ კონკურენტული გარემოა, კომპანია ახერხებს შეინარჩუნოს ლოიალური მომხმარებელი.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2024 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141.4	8,210
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2,5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8	1,595
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოუშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თამარ ხუციშვილი

შორენა შუკაკიძე

ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები	2024	2023
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,694	3,736
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	33.8	30.5
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	9,141.4	8,210
მშპ-ის რეალური ზრდა, %	9.4%	7.5%
საშუალო წლიური ინფლაცია	1.1%	2.5%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,333.8	1,595
უმუშევრობის დონე, %	13.9%	16.4%

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.


სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

მმართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 26 სექტემბერს:

დირექტორი

თამარ ხუციშვილი



მთ. ბუღალტერი

შორენა შუკაკიძე

